კომპოზიტური მასალები COMPOSITE MATERIALS

№ 11/1 "30" 06 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს ,,კომპოზიტური მასალები'' გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გეგმავს კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების მცირე საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას. საწარმოს მიერ შერჩეული ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს ჰერმეტულად დახურულ რეაქტორში (ავტოკლავში) და ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას ადგილი არ ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიებს.

დაგეგმილი საქმიანობა, წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-2 დანართის 6.1. პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება) და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუალედური პროდუქტის საშუალებით მეტალურგიული ფხვნილების წარმოებასთან (კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების მცირე საწარმო) დაკავშირებით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შუალედური პროდუქტის საშუალებით მეტალურგიული ფხვნილების წარმოების (კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების მცირე საწარმო) სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი .
2. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1CD;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს ,,კომპოზიტური მასალები''-ს რეგისტრაციის შესახებ.

პატივისცემით,

მალხაზ იასეშვილი

შპს ,,კომპოზიტური მასალები''-ს დირექტორი

№ 9808 30 06 2020

საქართველო, ქ. გარდაბანი 1300, დ. აღმაშენებლის ქ. 2ა; D. AGMASHENEBELI STR. 2A, GARDABANI, 1300 GEORGIA
TEL.: +995 577 517 751